რეფლექსია

რესურსი-იკებანა

რესურსი შექმნილია მე-8 კლასის მოსწავლეებისათვის

რესურსის ავტორი-სსიპ ილია ჭავჭავაძის სახ. საჩხერის #2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნათელა მაჭარაშვილი

რესურსი-იკებანა, რომელიც ყვავილების შეკონვის ხელოვნებაა, შევქმენი მერვე კლასის მოსწავლეებისათვის, როდესაც უნდა შეგვესწავლა თემა ,,ურთიერთობისა და ქცევის კულტურა საზოგადოებაში.ეტიკეტი". ამ კონკრეტულ გაკვეთილში იაპონიის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მეტად ტრადიციული ქვეყნის შესახებ საკმაოდ ბევრი ინფორმაციაა მოცემული , მაგრამ გაკვეთილი რომ უფრო საინტერესო ყოფილიყო, გადავწყვიტე, რომ საგაკვეთილო პროცესში სიახლე შემეტანა, რომლის შესახებ ინფორმაცია მოსწავლის წიგნში დაფიქსირებული არ არის.

მიზანი- მოსწავლეები შეეცდებიან იაპონური ტრადიციის ერთ-ერთი მიმართულების გაცნობა/გაანალიზებას, რაც გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის მათ ამ ქვეყანაზე.

-მოსწავლეები შეეცდებიან პარალელის გავლებას ქართულ ანალოგიურ ტრადიციასთან;

ესგ-ის სტანდარტი-ისტ.VIII.16.მოსწავლეს შეუძლია აღწეროს მსოფლიო კულტურის შედევრები;

ვთვლი, რომ აუცილებელია სახელმძღვანელოში მოცემული მწირი ინფორმაციის შევსება სახალისო და თანაც შედეგიანი აქტივობებით. ჯერ ერთი- ეს თემა საგნობრივი სტანდარტით არის განსაზღვრული, მეორე-შედარებით მწირია მოსწავლის წიგნში დაფიქსირებული მასალა და მესამე-მოსწავლეებისათვის სიახლის შეტანა საგაკვეთილო პროცესში, რომელიც ,,სწავლა კეთებით,,შემადგენელი ნაწილია, მეტად მნიშვნელოვანია.

სამიზნე ჯგუფის მოსწავლეთა თავისებურებები ნამდვილად გათვალისწინებული იყო- ერთი მხრივ, საგაკვეთილო თემა ამის შესაძლებლობას მაძლევდა და მეორეც, მოსწავლეებს თავისი ხელით უნდა შეექმნათ/ შეეკონათ ყვავილები ლამაზად . მათ არ იცოდნენ ჩვენი საგაკვეთილო თემა, უბრალოდ, ინსტრუქცია მივეცი და მოსწავლეებმა დიდი ინტერესით დაიწყეს სამუშაოს შესრულება.

ამ რესურსით გაკვეთილის დასაწყისშივე შევქმენი ისეთი საინტერესო გარემო, რომ ყველა მოსწავლე ჩაერთო ამ აქტივობაში და თანაც, ესგ-ით განსაზღრულ მისაღწევ შედეგზეც ვიყავი ორიენტირებული.

წინა დღეებში მეათე კლასის მოსწავლეებმა ორიგინალურად მოახდინეს ყვავილების შეკონვა და თან მოახდინეს გადაღება.მეათე კლასის მოსწავლეებმა იცოდნენ, რომ ეს მჭირდებოდა მერვე კლასში კონკრეტული საგაკვეთილო თემისათვის.

მოსწავლეებს წინა დღით დავაბარე მინდვრის ყვავილების მოტანა.პარალელურად მეც წავიღე ყვავილები და ფერადი ფურცლები, ლენტები და ბაფთები, რათა მოსწავლეებს დავალების შესრულების შესაძლებლობა ჰქონოდათ.

ინსტრუქცია:

- დაიყავით ჯგუფებად;
- ყველა ჯგუფს წინ გიდევთ სხვადასხვა ყვავილები, ფერადი ფურცლები, ლენტები, ბაფთები და სხვა ყველა საჭირო მასალა;
- თითოეულმა ჯგუფმა , რაც შეიძლება, ლამაზი თაიგული უნდა გააკეთოს;
- დავალების შესასრულებლად დროის მენეჯმენტი–15 წთ;
- ,,ბესტსელერი,, გამოვლინდება ხმების უმრავლესობით;
- მე მოვახდენ თქვენი სამუშაო პროცესის გადაღებასა და ჩემ მიერ გამზადებულ პრეზენტაციაში შეტანას;

მოსწავლეების მიერ დავალების შესრულებისა და ,,ბესტსელერის,, გამოვლინების შემდეგ ჩემ მიერ გადაღებული ფოტომასალა გადამაქვს ჩემს პრეზენტაციაში, რომელიც წინასწარ მქონდა გამზადებული . ჩემს პრეზენტაციაში განმარტებულია იკებანა, როგორც ყვავილების შეკონვის ხელოვნება, რომელიც იაპონიაში საფუძველს იღებს ბუდიზმის გავრცელების დროიდან და სხვა მნიშვნელოვან ტრადიციებთან ერთად (როგორიცაა ჩაის სმის ხელოვნება, მისალმება და ა. შ.)განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იაპონიის ცხოვრებაში.აქვეა როგორც იაპონელების მიერ ლამაზად შეკონილი ყვავილები, ასევე მეათეკლასელების მიერ გაკეთებული თაიგულები წარწერით ,,ქართული იკებანა,, , რომელსაც დავუმატე მერვეკლასელების მიერ შესრულებული ნამუშევრებიც.მოსწავლეებს წარვუდგინე რესურსი,,იკებანა”.

შემდეგი ინსტრუქცია:

- რა წარმოდგენა შეგიქმნათ იაპონიის შესახებ მათ მიერ შექმნილმა ყვავილების შეკონვის ხელოვნებამ?
- გაავლეთ პარალელი თქვენს მიერ შექმნილ თაიგულებსა და იაპონურ თაიგულებს შორის ?

- თქვენს მიერ გაკეთებული თაიგულები შეუსაბამეთ წარსულს, აწმყოსა და მომავალს(იაპონელების ტრადიციის მიხედვით, რომელიც ჩემს პრეზენტაციაშია გამოყენებული);
- თქვენი აზრით, რა სახის დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს ყვავილების ლამაზად შეკონვის ხელოვნება?

ამ რესურსის გამოყენება სავსებით ლოგიკური იყო ამ კონკრეტულ გაკვეთილზე, რადგან მოსწავლის წიგნის მიღმა მათ გაიგეს კონკრეტული ინფორმაცია იაპონური ტრადიციის შესახებ, რომელზედაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ და რაც მთავარია, თვითონ მიიღეს მონაწილეობა ჩემ მიერ შექმნილი რესურსის შევსებაში.შეეცადნენ, რომ რაც შეიძლება, ლამაზი ყოფილიყო მათ მიერ შექმნილი თაიგული.

ამ რესურსის გამოყენება შეუძლიათ დაწყებითი კლასის მასწავლებლებს(თუნდაც დამრიგებელს ან ხელოვნების მასწავლებელს), რომ მოსწავლეებმა ნებისმიერი დღესასწაული თუ ღონისძება თვითონ გააფორმონ ლამაზად შეკრული ყვავილებით, მორთონ საკლასო ოთახი, დედას დედის დღეს მიართვან ლამაზი თაიგული(მასწავლებელსაც) და რაც მთავარია, სილამაზის აღქმა მათში გაიზრდება, რაც მომავალში , ლამაზი ინტერიერის შექმნაში დაეხმარებათ. მათ ყოველთვის ემახსოვრებათ იაპონელების ეს ტრადიცია, რომელიც მათ ხელოვნების უმაღლეს დონეზე აიყვანეს.

ეს რესურსი შეიძლება გამოიყენოს დაწყებით თუ საბაზო საფეხურზე ხელოვნების მასწავლებლებმა, ასევე ისტორიის მასწავლებლებმა მე-7, მე-8 და მე-12 კლასებში იაპონიის თემის შესწავლის წინ გამოწვევის ეტაპზე.

მოსწავლეებს აუცილებლად უნდა განვუმარტოთ, რომ იაპონელები ნებისმიერ საქმეში მთელ სულსა და გულს დებდნენ, სწორედ ამიტომ მიაღწიეს მათ ესოდენ დიდ წარმატებას თუნდაც ტექნიკის სფეროში.მათთვის ყველა საქმიანობა უწმინდესია.

მოდიფიცირებაც შესაძლებელია ამ რესურსის : შეიძლება დავუმატოთ იაპონელების სხვა ტრადიციები-დაწყებული სამხედრო ხელოვნებიდან (სამურაისთან დაკავშირებული)დამთავრებული მშობლის პატივისცემით.

სამიზნე ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული , თუმცა პირველ ეტაპზე მათ არ იცოდნენ, თუ რისთვის ქმნიდნენ თაიგულებს. შემდეგ კი, როდესაც გაიგეს მიზანი, კიდევ უფრო გაიზარდა მათი დაინტერესება და ჩართულობა. მათ არ იცოდნენ, რომ ყვავილების ლამაზად შეკონვის ხელოვნება-იკებანა იაპონიიდან იღებდა სათავეს. გოგონების თვალთახედვა თაიგულების შექმნის დროს, რა თქმა უნდა, უფრო იყო ჯგუფის მიერ გათვალისწინებული, თუმცა სილამაზის აღქმასა და სამომავლოდ გოგონებისათვის ლამაზი თაიგულების შერჩევასა და მირთმევას ბიჭები ამ რესურსის ხილვის შემდეგ უფრო მოახერხებენ.

ამ რესურსმა ხელი შეუწყო შემდეგი უნარების განვითარებას:

- სილამაზის აღქმის ;
- სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული ღირებულებების შესწავლისა და დაფასების;
- თავიანთი ქვეყნის ტრადიციების შესწავლისა და დაცვის;
- კონკრეტული ტრადიციის ერთიან სახელმწიფოებრივ ჭრილში გადაჭრის;

პრობლემა ამ კონკრეტული რესურსის გამოყენების დროს არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული რესურსის გამოყენებამ მაჩვენა, რომ ნებისმიერი მცირეოდენი სიახლე თუ აქტივობა საგაკვეთილო პროცესს აქტიურს ხდის, მოსწავლეთა მიერ ყურადღების კონცენტრირება უფრო მაღალია, და თუ რესურსი სახალისოცაა და თვითონ მოსწავლეებიც იღებენ მონაწილეობას მის შექმნაში, ეს მათ მოტივაციას და, შესაბამისად, ჩართულობის ხარისხს კიდევ უფრო მეტად ზრდის.

ამ რესურსის ნახვა შეგიძლიათ შემდეგ ლინკზე:

https://docs.google.com/presentation/d/e/2PACX-1vQzY_xYDS1oSp0rmaa2toHP-kvCfK5LJ2zcP6gsfjMFKFE7OswZInvoX_SzjE-kXItyrD7vCTyIbyfD/embed?start=false&loop=false&delayms=3000